

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
რიგგარეშე სხდომის  
ოქმი №14

ქ. ახმეტა

19 მაისი, 2017 წელი

თავმჯდომარეობდა: თამარ ყვინიშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ს ხ დ ო მ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ  
ახმეტის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს წევრები:

თ. წითელაური, ზ. გარსევანიძე  
გ. ჯუგაშვილი, გ. ქიტესაშვილი, ნ. აბალოძე,  
რ. ბაღაკაშვილი, მ. ალხანაშვილი,  
ა. მექვევრიშვილი, ი. უჯირაული,  
დ. ძევისაშვილი, გ. მაისურაძე,  
გ. შორთიშვილი, თ. ბოდაველი,  
გ. უძილაური, ა. მაილაშვილი, თ. ბორჩაშვილი,  
ვ. დედაბრიშვილი, ც. გრძელივანიშვილი,  
ბ. ჭიჭიკლიშვილი, ზ. ქინქლაძე,  
ა. ნახუცრიშვილი.

სხდომა გაიხსნა 11<sup>00</sup> საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ თამარ ყვინიშვილმა გახსნა სხდომა და დამსწრე პირებს  
გააცნო დღის წესრიგი.



დღის წესრიგი:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი-ზურაბ გარსევანიძე/

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ;

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მიღება.

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ვანო ნასყიდაშვილი შემოვიდა წინადადებით, რომ დღის წესრიგს დაემატოს მე-3 საკითხად: „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დამატებით დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ; რადგან გარდა ადგილობრივი და რეგიონალური ფონდისა შეიქმნა აგრეთვე მაღალმთიანი რეგიონების ფონდი.

აზრი გამოთქვას:

გელა ჯუგაშვილმა აღნიშნა, რომ გათვალისწინებული უნდა იქნეს თუნდაც ერთი პროექტი ილტოს ხეობაზე.

სხდომა დატოვა გიორგი მაისურაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა შეცვლილ დღის წესრიგს.

19 - მომხრე

2 - თავი შეიკავა

დღის წესრიგს მესამე საკითხად დაემატა: „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დამატებით დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ;





მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“;

/მომხსენებელი - ზურაბ გარსევანიძე/

მომხსენებელმა განმარტა პროექტი და აღნიშნა, რომ გენდერული თანასწორობის საბჭო (შემდეგში – საბჭო) იქმნება „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონით, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით, ამ დებულებით და სხვა სამართლებრივი აქტებით. საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს საზოგადოებრივ საწყისებზე.

აზრი გამოთქვას:

საკრებულოს თავმჯდომარე, თამარ ყვინიშვილმა დამსწრე წევრებს განუმარტა, რომ ეს არ ნიშნავს მხოლოდ ქალების უფლების დაცვას.

გთხოვთ ზუსტად გავიაზროთ ყველამ, თუ რა დანიშნულება აქვს ამ საბჭოს. სურვილის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვეხმაროთ და გვერდში დაგვიდგეთ ქვეყნის და საკუთარი მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ.

ზაქარია ქინქლამემ მოიწონა აღნიშნული პროექტი და აღნიშნა, რომ ამ კომისიის მუშაობა და შედეგი დამოკიდებული იქნება იმ ადამიანების კეთილსინდისიერებაზე, რომლებიც აღნიშნული კომისიის შემადგენლობაში იქნებიან. მივესალმები, თუ ეს იქნება ერთერთი წარმატებული პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი

17 - მომხრე

4 - თავი შეიკავა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №11 „ახმეტის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“;

საკრებულოს თავმჯდომარემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს სთხოვა დაესახელებინათ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის კანდიდატი.





საკრებულოს წევრები: რ. ბადაკაშვილი, ა. მექვეერიშვილი, ზ. გარსევანიძე, ც. გრძელივანიშვილი, თ. წითელაური, მ. ალხანაშვილი ასახელებენ ნაზო აბალოიძეს.

საკრებულოს თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს აპარატს მოახდინოს კენჭისყრისთვის საჭირო პროცედურების მომზადება.

სხდომა განახლდა რეგლამენტის შესაბამისად.

მოისმინეს: „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დამატებით დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ;

მომხსენებელმა განმარტა, რომ მოწონებაზე წარმოდგენილია სამი პროექტი: ახმეტა-ბაწარის საავტომობილო გზის 22-ე კმ-დან სოფელ მიხაბეგამდე მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, სოფელ ჯოყოლოში მდინარე ალაზანზე ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობა, მდინარე ალაზანზე დუისი-ქვემო ხალაწის დამაკავშირებელი საცალფეხო ხიდის მოწყობა. გთხოვთ ყურადღებით გაეცნოთ და მოიწონოთ, რათა უახლოეს მომავალში მოხდეს აღნიშნული პროექტების ს დაფინანსება.

აზრი გამოთქვას:

ირაკლი უჯირაულმა აღნიშნა, რომ ბოლო დროს შეინიშნება ცუდი ტენდენცია ხელისუფლების მხრიდან, ძირითადი ფინანსები მიდის პანკისის ხეობაში. მაშინ როდესაც ჩვენ გვაქვს სოფლები, სადაც დენი და გაზი არ არის. არ აქვს მნიშვნელობა არის თუ არა სოფელი მჭიდროდ დასახლებული. ჩვენ თუ არ შევუწყეთ ხელი მალე ეს მცირეკომლიანი სოფლებიც აღარ გვექნება.

არჩილ მექვეერიშვილმა მიმართა ვანო ნასყიდაშვილს, რომ გამგეობამ იზრუნოს, მოიკვლიოს სხვადასხვა სოფლებში წამოჭრილი პრობლემები და დაფინანსების შემთხვევაში გამზადებული პროექტები წარუდგინოს მთავრობას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი

17 - მომხრე

4 - თავი შეიკავა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №32 „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დამატებით დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ;



ჩატარდა კენჭისყრა ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე.

კენჭისყრაში რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20 - მა წევრმა.

ამ თანამდებობაზე დასახელებულმა კანდიდატმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

დასახელებულია ერთი კანდიდატი ნაზო აბალოძე.

დაიდგა ყუთი.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა ბიულეტენების გამოყენებით.

კენჭისყრის დასრულების შემდეგ დაითვალა ხმები.

ხმები გადანაწილდა შემდეგნაირად:

16 - მომხრე

3 - წინააღმდეგი

გაბათილდა 1 ბიულეტენი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩეულია ნაზო აბალოძე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს სხდომა დაიხურა 13<sup>45</sup> საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



თამარ ყვინიშვილი